

საქართველოში ცხოვრება კიდევ

უფრო ბაძვირდება

ხელისუფლება ეროვნული ბანკის შენობის

გაყიდვას აპირებს

გაზეთი “ახალი თაობა” – 24 მაისი, № 141, 2008

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ საინვესტიციო ბუმი და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა სახეზეა, ასეა?

– იცით, იმდენი ბუმი, რომ უკვე “ბუმ-ბუმი”, არა?! რა გითხრათ, ქვეყანაში რომ ბუმი, ამას ალბათ პირველ რიგში თვითონ მთავრობა გრძნობს თავისივე შელამაზებული სტატისტიკური მონაცემებით, თუმცა რეალურად მდგომარეობა, რა თქმა უნდა, კატასტროფულიც არ არის. ჩვენი ეკონომიკის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მან ამ საარჩევნო კატაკლიზმებს გაუძლო. ვნახოთ, როგორ გაუძლებს ამ დაპირებების შესრულებას. იმედია, რომ აბსოლუტური უმრავლესობა დაპირებებისა, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან, უბრალოდ, არ შესრულდება, უფრო სწორედ, ვერ შესრულდება. ამის რესურსი არ არსებობს. ერთადერთი რესურსი არის ის, რომ ეროვნულ ბანკს დააბეჭდინო ფული, ემისია. ობიექტური რესურსი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დაპირებების განხორციელებისა, უბრალოდ არ არსებობს. მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. მძიმდება ინფლაციის მაღალი ტემპების გამო. მიმდინარე წლის მარტის თვის შედარება გასული წლის მარტთან, ერთწლიანი ინფლაცია მთავრობამ გამოაქვეყნა და თქვა, რომ ეს არის 12%-ზე მეტი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ პრაქტიკას, რომ სადღაც, სულ ცოტა, ერთი მესამედით მაინც ხელოვნურად ამცირებს მთავრობა გამოქვეყნებული ინფლაციის მაჩვენებელს, მარტის თვის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 18%-ზე მეტად შეიძლება იყოს. იმავედროულად, ყველა ეს სოციალური გასაცემლები, რომელთა გაცემაც უკვე დაიწყო, ეს ყველაფერი კუმულაციურ ეფექტს გამოიწვევს და ინფლაციის შემდგომ გაღრმავებას მისცემს ბიძგს. ამაზე

განცხადება პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემაც გააკეთა. თქვა, რომ არჩევნების შემდეგ ინფლაციური პროცესები გაღრმავდება. თუმცა, გურგენიძემ ლამაზად ახსნა ეს და თქვა, რომ ეს მსოფლიო ბაზრებზე ნავთობისა და სხვა საქონლის გაძვირებით იქნება გამოწვეული. ამაში არის, რა თქმა უნდა, სიმართლე, მაგრამ ეს არის ნახევრად სიმართლე. მარტო საერთაშორისო ფაქტორებზე აქცენტის გაკეთება, ეს არის თვალის ახვევა ქვეყნის შიდა პრობლემებზე.

– ბატონო ლადო, თქვენ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ განაცხადეთ ჩემთან საუბარში, რომ ახალ პარლამენტში “ცენტრ-პოინტის” ხელმძღვანელი შევიდოდა. რის საფუძველზე გააკეთეთ ეს დასკვნა?

– ეს იყო უბრალოდ, ელემენტარული გათვლა, იმიტომ, რომ ეს არის ის ბიზნესი, რომელსაც აქვს სერიოზული პრობლემები, სირთულეები. ეს არის ის ბიზნესი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა სახელისუფლო თამაში ეთამაშა, რომ ბიზნესსივრცეში დარჩენილიყო. ბუნებრივია, იმის პროგნოზს ვერ გავაკეთებდი, კონკრეტულად ვინ შევიდოდა პარლამენტში ამ ბიზნესიდან, მაგრამ ეს რომ ასე იქნებოდა, ცხადი იყო.

– ძირითადად პრობლემატური ბიზნესი ცდილობს მოხვედეს პარლამენტში?

– რა თქმა უნდა. ეს აწყობს ხელისუფლებასაც და ამ ბიზნესის წარმომადგენელსაც. საქმე ის არის, რომ ხელისუფლებას მათი პარლამენტში შეყვანის ძალიან დიდი შესაძლებლობა აქვს. დღეს რომ მაჟორიტარი დეპუტატი გახდეს, საჭირო არ არის ხმების 50%-ის აღება. 30%-იანი ბარიერია გადასალახი. ხოლო 30%-იანი რესურსი ხელისუფლებას ყველა რაიონში აქვს, თავისი რეალური მხარდამჭერებით და ადმინისტრაციული რესურსით. ხოლო ყველა სხვა ოპოზიციური პარტია ერთმანეთს ართმევს ხმებს. როცა ერთმანეთს ართმევენ ხმებს ისინი ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. როდესაც ლეიბორისტები აგრესიულად აკრიტიკებდნენ გაერთიანებულ ოპოზიციას, ისინი ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობის საქმეს უწყობდნენ ხელს. ვფიქრობ, ლეიბორისტები პარლამენტში უნდა იყვნენ, მაგრამ აბსოლუტურად არ მესმის, რატომ არ აკრიტიკებენ ნაციონალურ მოძრაობას და რატომ აქვთ გადატანილი კრიტიკა გაერთიანებული ოპოზიციის მიმართ. მაჟორიტარულ არჩევნებში ძალიან ცუდი სიტუაციაა.

– და ბოლოს, ბატონო ლადო, საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლებამ, პირადად პრეზიდენტმა მოულოდნელი გადაწყვეტილება

მიიღო და გადაწყვიტა გზების დეპარტამენტის, სემეკის და კონტროლის პალატის ქუთაისში გადატანა. მართებული გადაწყვეტილებაა?

– მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არის იმის გამოცდილება, რომ სახელმწიფო უწყებები განფენილია სხვადასხვა ქალაქში. ამიტომ ამაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. მთავარია, ეს გადატანა ისე მოხდეს, რომ კვალიფიციური კადრები არ დაიკარგოს. თუ კვალიფიციური კადრები იქნება შენარჩუნებული, არც საგზაო დეპარტამენტის და არც ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადატანა არ იქნება პრობლემა. რაც შეეხება კონტროლის პალატის გადატანას, ეს სრული ნონსენსია. სხვათა შორის, ეს იდეა ჯერ კიდევ 2004 წელს ჰქონდა ზურაბ ჟვანიას. მას უნდოდა კონტროლის პალატის გადატანა და ნინო ბურჯანაძის დამსახურებაა, რომ ეს იდეა არ იქნა რეალიზებული. რატომ არის ეს მოსაზრება მცდარი: კონტროლის პალატა არის ის ორგანო, რომელიც უნდა ამოწმებდეს საბიუჯეტო ხარჯების კანონიერებას. ძირითადი მხარჯავი ერთეულები ყველა თბილისშია. დაწყებული ფინანსთა სამინისტროდან, ისეთი მსხვილი მხარჯავი ერთეულები, როგორც არის თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროები და ა.შ. ხოლო რეგიონული მმართველობის ერთეულებიდან ყველაზე მსხვილი ხომ თბილისია. თბილისზე უფრო დიდი ბიუჯეტი ხომ არც ერთ რეგიონს არა აქვს. როცა კონტროლის პალატის მუშაკები შედიან შემოწმებაზე, ხშირად ეს შემოწმება რამდენიმე კვირა გრძელდება. წარმოიდგინეთ, კონტროლის პალატის აპარატი რომ ქუთაისში გადავა, რა სირთულეები შეექმნებათ მათ. კიდევ ერთ საინტერესო რამეს გეტყვი. როცა კონტროლის პალატის ბოლო თავმჯდომარედ ლევან ჭოლაძე დაინიშნა, იმისთვის, რომ თავი დაემკვიდრებინა, ერთი თვალშისაცემი ნაბიჯი გადადგა და კონტროლის პალატის თითქმის ყველა თანამშრომელი გაყარა სამსახურიდან. მერე აღმოჩნდა, რომ რევიზორები აღარ ჰყავდათ და თანამშრომლების გარკვეული ნაწილი უკან აიყვანეს. რევიზორს გაზრდა და გარკვეული კვალიფიკაცია სჭირდება. ჭოლაძემ თბილისშიც კი ვერ მოახერხა მათი ჩანაცვლება. ქუთაისში როგორ ჩანაცვლდებიან ეს რევიზორები?! თუ ამხელა ხარჯი უნდა იქნეს კიდევ აკიდებული სახელმწიფოს მხრიდან, რომ კონტროლის პალატის დღევანდელი რევიზორებიც ქუთაისში უნდა იყვნენ გადაყვანილი? კონტროლის პალატა ეს არის საპარლამენტო ორგანო. დიდი ბოდიში, პრეზიდენტს არავინ ეკითხება, სად გადაიტანს კონტროლის პალატას.

ჯერ კანონი უნდა შეცვალოს. პარლამენტის გადასაწყვეტია, სად იქნება კონტროლის პალატა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ კონტროლის პალატის კანონში წერია, რომ მისი ადგილმდებარეობა არის თბილისში. სხვათა შორის, ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე უნდა იყოს ოპოზიციის წარმომადგენელი. ერთის მხრივ, კონტროლის პალატის გადატანა ქუთაისში ხელისუფლების სატყუარა იყო ამომრჩევლებისათვის. მეორეს მხრივ, კონტროლის პალატა ისედაც დასუსტებული ორგანოა, თითქმის არაფრის მაქნისი. რაში აწყობს პრეზიდენტს არაფრის მაქნისი კონტროლის პალატა თბილისში, ჯობია, შორს მოისროლოს. მერე კონტროლი ვერ განხორციელდეს და ა.შ. ასე რომ, აქ რამოდენიმე ამოცანა ერთდროულად წყდება.

– კონტროლის პალატის შენობის გაყიდვა ხო მარ იგეგმება?

– დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. არის ხმები, რომ მზადდება ეროვნული ბანკის შენობის პრივატიზება. დიდი რამე, კონტროლის პალატის შენობის გაყიდვა თუ დადგება დღის წესრიგში, რომელიც კომუნისტების აშენებულია. საუბარია ქალაქის ცენტრში მდებარე ისტორიული შენობის პრივატიზაციაზე. ეროვნული ბანკის შენობის პრივატიზებაც კი განიხილება გარკვეულ სამთავრობო წრეებში.

შორენა კოწოწაშვილი